დანართი №5

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის

ანთროპოლოგია

VIII დონე

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
27.08.-11.09. 2026

დასკვნის წარდგენის თარიღი

24.09.2026

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი 9

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 12

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 24

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 35

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 39

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 48

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ ჩარკვიანი, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დიანა მჭედლიშვილი, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ანთროპოლოგია
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Anthropology
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა, უმაღლესი განათლების III საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0314 სოციოლოგია და კულტურის კვლევები
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	40
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული №225 18.07.2012
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (მაგ.: უცხო ენის ფლობის დონე, კვლევის თეზისი/პროექტი, შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	• ინგლისური ენის ცოდნის დადასტურება მინიმუმ B2 დონეზე; • სადოქტორო ნაშრომის სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის თანხმობა და კვლევის ბაზად შერჩეული თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის რეკომენდაცია; • ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა, ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება; • სადოქტორო კვლევის თეზისი/პროექტი; • გასაუბრება სპეციალობაში.

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად სადოქტორო ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

„ანთროპოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (0314.1.7) ხორციელდება სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე და ანიჭებს სოციალურ და კულტურულ ანთროპოლოგიაში დოქტორის (PhD) აკადემიურ ხარისხს. პროგრამის ხანგრძლივობაა 3 წელი და მოიცავს 40 ECTS კრედიტის სასწავლო კომპონენტს.
პროგრამის მიზანია თანამედროვე ანთროპოლოგიური ცოდნისა და კვლევითი უნარების მქონე მაღალკვალიფიციური მკვლევრების მომზადება. პროგრამა ხორციელდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მონაწილეობით და უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო და კვლევითი რესურსებით.
დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად დოქტორანტმა უნდა დააგროვოს 40 ECTS კრედიტი, შეასრულოს პროგრამით გათვალისწინებული კვლევითი მოთხოვნები, გამოაქვეყნოს შესაბამისი სამეცნიერო პუბლიკაციები და წარმატებით დაიცვას სადისერტაციო ნაშრომი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის მიზანი იყო სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ანთროპოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შეფასება.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში, საგანმანათლებლო პროგრამა და თანდართული დოკუმენტაცია. პროგრამის შეფასება განხორციელდა აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად და მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს: **1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა** (ქვესტანდარტები 1.1, 1.2, 1.3, 1.4 და 1.5); **2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** (ქვესტანდარტები 2.1, 2.2, 2.3 და 2.4); **4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა** (ქვესტანდარტები 4.1, 4.2). აღნიშნული სტანდარტების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა პროგრამის შესაბამისობა მოქმედ მარეგულირებელ მოთხოვნებთან და აკრედიტაციის კრიტერიუმებთან.

- **სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ანთროპოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, **შეესაბამება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს**. პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო და კვლევითი კომპონენტები ურთიერთთანხვედრაშია და უზრუნველყოფს დოქტორანტთა დამოუკიდებელი კვლევითი საქმიანობის განვითარებას. პროგრამას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციისა და რაოდენობის აკადემიური პერსონალი, ხოლო დოქტორანტთა შეფასებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელობის მექანიზმები განსაზღვრულია. გამოვლენილი ცალკეული საკითხები ძირითადად პროგრამის შემდგომი სრულყოფის შესაძლებლობებს წარმოადგენს.

- **რეკომენდაციები**

- **რჩევები**

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები

- სასურველია, შემცირდეს სწავლის შედეგების შინაარსობრივი გამეორება მათი გაერთიანების ან ფუნქციური გამიჯვნის გზით, განსაკუთრებით ახალი ცოდნის შექმნასა და ახლებური კვლევითი მიდგომების შემუშავებასთან დაკავშირებული შედეგების შემთხვევაში.
- სასურველია, დაკონკრეტდეს სწავლის შედეგების ფორმულირებები და გაიზარდოს მათი შეფასებადობა - ზოგადი ჩანაწერების, მათ შორის „ფლობს შესაბამის კომპეტენციას“, ნაცვლად გამოყენებულ იქნეს კონკრეტული, მოქმედებაზე ორიენტირებული და შეფასებადი ფორმულირებები.

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- სასურველია, სასწავლო და კვლევითი კომპონენტების თანმიმდევრობა სემესტრების მიხედვით უფრო მკაფიოდ განისაზღვროს, განსაკუთრებით კვლევის დაგეგმვის, კვლევითი პროექტების განხორციელების, შედეგების განხილვა/რეცენზირებისა და სადისერტაციო ნაშრომის მომზადების ეტაპების მიმართულებით.
- სასურველია, არჩევითი კომპონენტების არჩევის პრინციპები უფრო მკაფიოდ განისაზღვროს და გამოიკვეთოს მათი კავშირი დოქტორანტის ინდივიდუალურ სასწავლო და კვლევით საჭიროებებთან, მათ შორის „სხვა სახის აქტივობის“ შემთხვევაში.

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

- სასურველია, პროგრამაზე მიღების შესახებ საჯარო ინფორმაცია მოიცავდეს მიღების ვადებს, წარმოსადგენ დოკუმენტაციას, პოტენციური სამეცნიერო ხელმძღვანელების კვლევით ინტერესებსა, მიღების წინაპირობებს და სხვა პროცედურულ საკითხებს.
- სასურველია, პროგრამასა და თვითშეფასების ანგარიშში ერთგვაროვნად ჩამოყალიბდეს მაგისტრის აკადემიური ხარისხის სფეროსთან დაკავშირებული მოთხოვნა.

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

- სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლება-სწავლის მეთოდების აღწერა წარმოდგენილი იყოს ერთგვაროვანი დეტალიზაციით და, სადაც მეთოდები მხოლოდ ჩამონათვალის სახითაა მოცემული, უფრო ნათლად გამოიკვეთოს მათი გამოყენების ფორმა.

2.4. სტუდენტების შეფასება

- სასურველია, გადაიხედოს და ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი შეფასების წესები და პროგრამის საერთო შეფასების სისტემა, მათ შორის დასკვნით გამოცდაზე დაშვების მინიმალური ზღვარი და ცალკეული შეფასების რუბრიკების ქულობრივი დიაპაზონები, რათა შეფასების კრიტერიუმები იყოს ერთმნიშვნელოვანი და სტუდენტებისთვის მკაფიოდ აღქმადი.

- **საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად,** მაგალითად:

  - **პერსონალი და ნაშრომების ხელმძღვანელები** - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და საერთაშორისო პერსონალი); დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის მონაცემები; აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა; დოქტორანტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა;

  - **სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები** - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;

  - **აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი** (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);

  - **ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები** (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული დოქტორანტთა ადგილების რაოდენობა; დოქტორანტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით;

  - თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**[3]

[3] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

- ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	აკრედიტაციის სტანდარტი	სადოქტორო ჩარჩოს სტანდარტი	შეფასება
1.	**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**	**1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა**	**შესაბამისი**
1.1	პროგრამის მიზნები	1.1 მიზანი და სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	1.1 მიზანი და სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	–	შესაბამისობაშია
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	1.2 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი	შესაბამისობაშია
1.5	სასწავლო კურსი/საგანი	–	შესაბამისობაშია
2.	**სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**	**1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა**	**შესაბამისობაშია**
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	1.3 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	–	შესაბამისობაშია
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	–	შესაბამისობაშია
2.4	სტუდენტების შეფასება	1.4 დოქტორანტის შეფასება	შესაბამისობაშია
3.	**სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**	**2. დოქტორანტთა მხარდამჭერი მექანიზმები და ხელმძღვანელობა**	**აირჩიეთ შესაბამისი**
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	2.1 დოქტორანტთა მხარდამჭერი სერვისები	აირჩიეთ შესაბამისი
3.2	დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	2.2 დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხელმძღვანელობის განხორციელება	აირჩიეთ შესაბამისი
4	**სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**	**3. რესურსები**	**შესაბამისობაშია**
4.1	ადამიანური რესურსი	3.1 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალი	შესაბამისობაშია

4.2	დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	3.2 სამეცნიერო ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	შესაბამისობაშია
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	–	აირჩიეთ შესაბამისი
4.4	მატერიალური რესურსი	3.4 მატერიალური რესურსი	აირჩიეთ შესაბამისი
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	3.3 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსება	აირჩიეთ შესაბამისი
5	**სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**	**4. ხარისხის უზრუნველყოფა**	**აირჩიეთ შესაბამისი**
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	4.1 შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფა	აირჩიეთ შესაბამისი
5.2	გარე ხარისხის შეფასება	–	აირჩიეთ შესაბამისი
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	–	აირჩიეთ შესაბამისი

სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტით დადგენილი კრიტერიუმები გამოიყენება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან ერთად.

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო

სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტი

აკრედიტაციის სტანდარტებისა და დოქტორანტურის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისობა

შეფასების კრიტერიუმები

განმარტებები:

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნაზე ან/და არსებული ცოდნის განვითარებაზე, ცოდნის რეალიზებისა და გავრცელების ხელშეწყობაზე ორიგინალური, თანამედროვე და ინოვაციური კვლევების განხორციელებით;
- სახელოვნებო - შემოქმედებითი სფეროს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს საშემსრულებლო და/ან შემოქმედებით პრაქტიკაზე დაფუძნებულ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის მიზანია საერთაშორისო დონის ორიგინალური პროექტის შექმნა თანმხლები კვლევითი კომპონენტით, რომელშიც ნათლად ჩანს დოქტორანტის თვითმყოფადი შემოქმედებითი ხედვა, მაღალი დარგობრივი კომპეტენციები და შემოქმედებითი კვლევის შედეგად მიღებული ახალი ცოდნა;
- სადოქტორო პროგრამის მიზანია კვლევითი უნარების გაღრმავების გზით ხელი შეუწყოს დოქტორანტების მომზადებას დამოუკიდებელი კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობისთვის, ასევე, საკვლევი თემატიკის გათვალისწინებით, ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით თანამშრომლობას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს/ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი კვლევის საქმიანობის განხორციელების სტრატეგიას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზმა აჩვენა, რომ პროგრამის მიზნები ითვალისწინებს **ანთროპოლოგიის სწავლის სფეროს, სადოქტორო საფეხურისა და პროგრამის დარგობრივ სპეციფიკას**. პროგრამის მიზნებში კონკრეტულად არის გამოკვეთილი **თანამედროვე ანთროპოლოგიური თეორიებისა და კვლევის მეთოდების ფლობა, პრაქტიკული და საველე კვლევების განხორციელება, დაკვირვების, ინტერვიურების, დოკუმენტებისა და ინფორმაციის ანალიზის გამოყენება**, ასევე ანთროპოლოგიური კვლევის ცალკეულ ქვედარგებში დარგობრივი კომპეტენციის განვითარება. პროგრამის დარგობრივი თავისებურება განსაკუთრებით ვლინდება **კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონის ეთნოგრაფიული რეალობისა და ანთროპოლოგიური პრობლემების შესწავლაზე**, მათ შორის ეთნო-კულტურული პროცესების, მიგრაციის, ეთნოსთაშორისი ურთიერთობების, კულტურული და სოციალური კონფლიქტების კვლევაზე ორიენტაციით.

სადოქტორო საფეხურის მოთხოვნებთან შესაბამისობა მკაფიოდ აისახება პროგრამის მიზნებში, რომლებიც ორიენტირებულია არა მხოლოდ დარგში არსებული ცოდნის ათვისებაზე, არამედ **კვლევითი უნარების გაღრმავებაზე, დამოუკიდებელი კვლევის განხორციელებაზე, კვლევის შედეგების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავებასა და ახალი ცოდნის შექმნაზე**. აღნიშნული მიმართულებები სწავლის შედეგებში კიდევ უფრო კონკრეტულად არის წარმოდგენილი: დოქტორანტს მოეთხოვება **„მეცნიერების უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ფართო, ღრმა და სისტემური ცოდნა“**, დარგის უახლესი კონცეფციების ანალიზი, არსებული ცოდნისა და მონაცემების ახლებური ანალიზი, **ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მიდგომების შემუშავება, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული**, და კვლევის დამოუკიდებლად წარმოება.

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების დონეზე ასევე იკვეთება სადოქტორო საფეხურისთვის მნიშვნელოვანი **სამეცნიერო და კვლევითი ავტონომიურობა**. კერძოდ, განსაზღვრულია დოქტორანტის შესაძლებლობა, დამოუკიდებლად აწარმოოს კვლევა, მკაფიოდ ჩამოაყალიბოს აქტუალური საკვლევი საკითხები, შექმნას მეცნიერული ღირებულების მქონე საკვალიფიკაციო ნაშრომი და პუბლიკაციები, ასევე დამოუკიდებლად დაგეგმოს და წარმართოს სწავლის, კვლევისა და პროფესიული განვითარების პროცესი. ამასთან, სწავლის შედეგებში ასახულია საკუთარი და სხვათა სამეცნიერო საქმიანობის **კრიტიკული შეფასების** და დარგის ცოდნის სხვებისთვის გაზიარების კომპეტენციაც.

პროგრამის მიზნები ასევე უკავშირდება სფეროსა და საზოგადოების განვითარებას. კერძოდ, კურსდამთავრებულის კომპეტენციები მიმართულია **ეთნოგრაფიული რეალობის კვლევისა და დოკუმენტირების, მიმდინარე ეთნო-კულტურული პროცესების ანალიზისა და პროგნოზირების, კულტურული მრავალფეროვნების, განსხვავებული აზრისა და სოციალური და დემოკრატიული ღირებულებების პატივისცემის** მიმართულებით. ამდენად, პროგრამა კურსდამთავრებულს განიხილავს არა მხოლოდ როგორც დარგის მკვლევარს, არამედ როგორც სპეციალისტს, რომელსაც შეუძლია ანთროპოლოგიური ცოდნის გამოყენება საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი პროცესების გააზრებასა და მათზე შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებაში.

პროგრამის მიზნები სრულად ითვალისწინებს სწავლის სფეროს, სადოქტორო საფეხურისა და პროგრამის დარგობრივ თავისებურებებს და მკაფიოდ ასახავს კურსდამთავრებულის მოსალოდნელ ცოდნას, კვლევით უნარებს, დარგობრივ კომპეტენციებსა და კვლევით ავტონომიურობას. პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებში კონკრეტულად იკვეთება სადოქტორო საფეხურისთვის მნიშვნელოვანი ინდიკატორები: უახლეს სამეცნიერო მიღწევებზე დაფუძნებული ღრმა და სისტემური ცოდნა, დამოუკიდებელი და ორიგინალური კვლევა, არსებული ცოდნის ახლებური და კრიტიკული გადააზრება, ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული კვლევითი და ანალიტიკური მიდგომების შემუშავება და დამოუკიდებელი სამეცნიერო საქმიანობა. შესაბამისად, პროგრამის მიზნები შეესაბამება სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩოსა და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VIII დონის მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ანთროპოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა;
- ანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და შეესაბამება კვალიფიკაციის მე-8 დონის აღმწერს;
- სადოქტორო ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტის შედეგებს ადგილობრივ ან/და საერთაშორისო დონეზე აქვს სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებით - კვლევითი მნიშვნელობა, არის ინოვაციური და პრაქტიკული/თეორიული ღირებულების მქონე.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზმა აჩვენა, რომ სწავლის შედეგები **შინაარსობრივად და ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის მიზნებს** და მოიცავს დოქტორანტურის საფეხურისთვის რელევანტურ ცოდნას, კვლევით უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას.

პროგრამის მიზნებში განსაზღვრული თანამედროვე ანთროპოლოგიური თეორიებისა და კვლევის მეთოდების დაუფლება სწავლის შედეგებში კონკრეტდება დოქტორანტის მიერ **„დარგში შემუშავებული თეორიული და კვლევითი მეთოდების“ ფლობით**, ანთროპოლოგიის განვითარების ძირითადი მიმართულებებისა და უახლესი კონცეფციების ანალიზით და **„მეცნიერების უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ფართო, ღრმა და სისტემური ცოდნის“** ფლობით. აღნიშნული შედეგები შეესაბამება როგორც ანთროპოლოგიის სწავლის სფეროს სპეციფიკას, ისე სადოქტორო საფეხურისთვის განსაზღვრულ ცოდნის სიღრმესა და სისტემურობას.

პროგრამის მიზნებთან შესაბამისობა მკაფიოდ იკვეთება კვლევითი კომპეტენციების ნაწილშიც. პროგრამის მიზანი ითვალისწინებს პრაქტიკული და საველე კვლევების განხორციელების, მოვლენების ანალიზისა და პროგნოზირების უნარის განვითარებას, რაც სწავლის შედეგებში აისახება **არსებული ცოდნისა და მონაცემების ახლებურ ანალიზში, აქტუალური საკვლევი საკითხების**

ჩამოყალიბებაში, მიმდინარე ეთნო-კულტურული პროცესების ანალიზსა და მათი განვითარების პერსპექტივების პროგნოზირებაში. შესაბამისად, სწავლის შედეგები არ შემოიფარგლება დარგის არსებული ცოდნის ათვისებით და მოიცავს კვლევითი ცოდნის დამოუკიდებლად გამოყენებისა და განვითარების კომპეტენციებს.

სწავლის შედეგებში მკაფიოდ არის წარმოდგენილი **ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული კვლევითი კომპეტენცია**, რაც სადოქტორო საფეხურის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ნიშანია. კერძოდ, დოქტორანტს მოეთხოვება, რომ **„შეიმუშავებს ახლებურ კვლევით და ანალიტიკურ მიდგომებს, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული“**, მოახდინოს **„უკვე არსებული ცოდნისა და მონაცემების ახლებური ანალიზი“**, დამოუკიდებლად აწარმოოს კვლევა და დარგის უახლეს მიღწევებსა და კვლევის თანამედროვე მეთოდებზე დაყრდნობით მკაფიოდ ჩამოაყალიბოს აქტუალური საკვლევი საკითხები. ასევე განსაზღვრულია **მეცნიერული ღირებულების მქონე საკვალიფიკაციო ნაშრომისა და პუბლიკაციების შექმნა**. აღნიშნული შედეგები პირდაპირ მიუთითებს დოქტორანტის შესაძლებლობაზე, დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე განავითაროს არსებული ცოდნა და შეიტანოს საკუთარი წვლილი დარგის განვითარებაში.

სწავლის შედეგები ასევე მოიცავს **ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის** კომპონენტებს. ცოდნის მიმართულებით წარმოდგენილია ანთროპოლოგიის ძირითადი მიმართულებებისა და უახლესი კონცეფციების, ადამიანის კულტურისა და სოციუმში არსებობის შესახებ ფართო, ღრმა და სისტემური ცოდნა. უნარების მიმართულებით განსაზღვრულია არსებული ცოდნის კრიტიკული და ახლებური ანალიზი, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება, ახალი კვლევითი და ანალიტიკური მიდგომების შემუშავება, საკუთარი და სხვათა სამეცნიერო საქმიანობის კრიტიკული შეფასება და მიღებული ცოდნის გაზიარება. პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპონენტი კი მკაფიოდ აისახება შედეგში, რომლის მიხედვითაც დოქტორანტი **„დამოუკიდებლად გეგმავს და წარმართავს სწავლის, კვლევისა და საკუთარი პროფესიული განვითარების პროცესებს“**, ასევე იცავს სამეცნიერო ეთიკისა და ინტელექტუალური საკუთრების პრინციპებს და მოქმედებს პროფესიული და სოციალური ღირებულებების შესაბამისად.

პროგრამის სწავლის შედეგებში ასევე გათვალისწინებულია **ინტერდისციპლინური თანამშრომლობის შესაძლებლობა**, რაც გამოხატულია დოქტორანტის მიერ შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა და „მომიჯნავე ჰუმანიტარული დარგების წარმომადგენლებთან“ თანამშრომლობის უნარში. აღნიშნული კომპონენტი შესაბამისობაშია სადოქტორო პროგრამის ინდიკატორთან, რომელიც კვლევითი უნარების გაღრმავებასთან ერთად, საკვლევი თემატიკის გათვალისწინებით, ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებასა და თანამშრომლობას ითვალისწინებს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს **სადისერტაციო ნაშრომის შედეგების სამეცნიერო-კვლევით მნიშვნელობასა და ინოვაციურობას**. პროგრამის სწავლის შედეგებში პირდაპირ არის მითითებული **„მეცნიერული ღირებულების მქონე საკვალიფიკაციო ნაშრომის“ შექმნა**, რაც დადებითად უნდა შეფასდეს და მიუთითებს სადისერტაციო კვლევის სამეცნიერო მნიშვნელობაზე. ამასთან, სადოქტორო პროგრამის ინდიკატორის სრულად და მკაფიოდ დასაფარად მიზანშეწონილია სწავლის შედეგებში უფრო კონკრეტულად გამოიკვეთოს, რომ სადისერტაციო კვლევის შედეგი უნდა იყოს **ინოვაციური და ჰქონდეს თეორიული და/ან პრაქტიკული ღირებულება**. არსებული ფორმულირება „ახალი ცოდნის შექმნის“ შესახებ ამ მიმართულებას საფუძველს უქმნის, თუმცა უშუალოდ ინოვაციურობისა და თეორიული/პრაქტიკული ღირებულების გამოხატულება უფრო მკაფიოდ შეიძლება განისაზღვროს.

ამ თვალსაზრისით, ანთროპოლოგიის სადისერტაციო კვლევის სამეცნიერო სიახლე შეიძლება გამოიხატოს, მაგალითად, **ახალი ემპირიული მასალის საფუძველზე ეთნო-კულტურული პროცესების ახლებურ ინტერპრეტაციაში, არსებული ანთროპოლოგიური კონცეფციების ახალი სოციალური ან კულტურული კონტექსტის მიმართ გამოყენებასა და განვითარებაში, სხვადასხვა ემპირიული წყაროს**

ინტეგრირებულ ანალიზში ან კონკრეტული ანთროპოლოგიური პრობლემის შესწავლის ახალი კვლევითი/მეთოდოლოგიური მიდგომის შემუშავებაში. პრაქტიკული ღირებულება კი შესაძლებელია უკავშირდებოდეს კვლევის შედეგების საფუძველზე ეთნო-კულტურული პროცესების, მიგრაციის, კულტურული მრავალფეროვნების, სოციალური ინტეგრაციისა და კონფლიქტების შესახებ მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციების შემუშავებას.

ამასთან, სწავლის შედეგების ფორმულირებების ანალიზისას გამოიკვეთა **ცალკეული შინაარსობრივი გამეორება**. კერძოდ, „ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მიდგომების“ შემუშავება და „ახალი ცოდნის შექმნაზე“ ორიენტირება ასახულია ორ, არსებითად მსგავს სწავლის შედეგად. ერთი შედეგი მიუთითებს, რომ დოქტორანტი „შეიმუშავებს ახლებურ კვლევით და ანალიტიკურ მიდგომებს, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული“, ხოლო მეორე შედეგში თითქმის იგივე კომპონენტი მეორდება არსებული ცოდნისა და მონაცემების ახლებურ ანალიზთან და დამოუკიდებელი კვლევის წარმოებასთან ერთად. **მიზანშეწონილია აღნიშნული შედეგების გაერთიანება ან მათი ფუნქციური გამიჯვნა**, რათა თითოეულმა სწავლის შედეგმა დამოუკიდებელი და მკაფიო კომპეტენცია ასახოს.

ასევე, ზოგიერთი სწავლის შედეგი შედარებით ზოგადი ფორმით არის ჩამოყალიბებული. მაგალითად, **„ფლობს შესაბამის კომპეტენციას კულტურულ, სოციალურ და ქცევით საკითხებში“** საკმარისი სიცხადით არ განსაზღვრავს, რა კონკრეტული მოქმედების შესრულება უნდა შეძლოს დოქტორანტმა აღნიშნული კომპეტენციის საფუძველზე. შესაბამისად, მიზანშეწონილია მსგავსი შედეგების უფრო **კონკრეტული, ერთმნიშვნელოვანი და შეფასებადი მოქმედებების** ფორმით ჩამოყალიბება, მაგალითად, კულტურული, სოციალური და ქცევითი პროცესების კრიტიკული ანალიზის, ინტერპრეტაციისა და შესაბამისი კვლევითი მეთოდების გამოყენების შესაძლებლობის მითითებით.

პროგრამის სწავლის შედეგები არსებითად შეესაბამება პროგრამის მიზნებს, ანთროპოლოგიის სწავლის სფეროს თავისებურებებსა და კვალიფიკაციის VIII დონის მოთხოვნებს. ამასთან, სწავლის შედეგების შემდგომი სრულყოფის მიზნით მიზანშეწონილია შინაარსობრივად მსგავსი შედეგების გაერთიანება ან ფუნქციური გამიჯვნა, ზოგადი ფორმულირებების უფრო კონკრეტულ და შეფასებად მოქმედებებად გარდაქმნა და სადისერტაციო კვლევის შედეგებთან მიმართებით ინოვაციურობისა და თეორიული და/ან პრაქტიკული ღირებულების უფრო მკაფიოდ ასახვა. აღნიშნული საკითხები არ მიუთითებს პროგრამის სწავლის შედეგების არსებით შეუსაბამობაზე სტანდარტის მოთხოვნებთან და ძირითადად მათი ფორმულირებისა და სიცხადის გაუმჯობესებას ემსახურება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ანთროპოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა;
- ანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.
- ანთროპოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები:
- „აკადემიური წერა დოქტორანტურის სტუდენტებისთვის“ სილაბუსი;
- „ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა“ სილაბუსი;
- „მეცნიერების მენეჯმენტი“ სილაბუსი;
- „საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების პრინციპები“ სილაბუსი;
- „სწავლა/სწავლების მეთოდები და სტრატეგიები“ სილაბუსი;
- „ჰუმანიტარული კვლევების მეთოდოლოგია“ სილაბუსი.

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, შემცირდეს სწავლის შედეგების შინაარსობრივი გამეორება მათი გაერთიანების ან ფუნქციური გამიჯვნის გზით, განსაკუთრებით ახალი ცოდნის შექმნასა და ახლებური კვლევითი მიდგომების შემუშავებასთან დაკავშირებული შედეგების შემთხვევაში.
- სასურველია, დაკონკრეტდეს სწავლის შედეგების ფორმულირებები და გაიზარდოს მათი შეფასებადობა - ზოგადი ჩანაწერების, მათ შორის „ფლობს შესაბამის კომპეტენციას“, ნაცვლად გამოყენებულ იქნეს კონკრეტული, მოქმედებაზე ორიენტირებული და შეფასებადი ფორმულირებები.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

„ანთროპოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში დოქტორანტის სწავლისა და კვლევითი საქმიანობის შეფასება მრავალკომპონენტიან სისტემას ეფუძნება. შეფასების მექანიზმი მოიცავს დამოუკიდებელი მუშაობის, შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, სასემინარო ნაშრომებსა და პრეზენტაციებს, სამეცნიერო-კვლევით პროექტებს და სადისერტაციო ნაშრომის შეფასებას. ამასთან, პროგრამა ითვალისწინებს როგორც განმავითარებელ, ისე შემაჯამებელ შეფასებას, წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებსა და დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე რეცენზენტის მონაწილეობას. აღნიშნული კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს დოქტორანტის აკადემიური და კვლევითი პროგრესის ეტაპობრივ შეფასებას და არ შემოიფარგლება მხოლოდ საბოლოო გამოცდით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამეცნიერო-კვლევითი პროექტებისა და სადისერტაციო ნაშრომის შეფასება. დოქტორანტი ვალდებულია შეასრულოს და საჯაროდ წარმოადგინოს ორი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, რომლებიც უშუალოდ წარმოადგენს მისი სადისერტაციო კვლევის ნაწილს.

პროექტების ფარგლებში შესრულებული ნაშრომი ფასდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე რეცენზენტის მიერ, ხოლო პრეზენტაცია - წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით. ამ პროექტების დადებითი შეფასება სადისერტაციო ნაშრომის დასაცავად მიღების წინაპირობაა. შესაბამისად, შეფასების აღნიშნული კომპონენტები არა მხოლოდ დოქტორანტის მიმდინარე აკადემიური მიღწევის შეფასებას, არამედ მისი კვლევითი კომპეტენციების თანდათანობით განვითარებასა და სადისერტაციო კვლევის პროგრესის მონიტორინგსაც ემსახურება.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხორციელდება დაცვის კომისიის მიერ, კონფიდენციალური, ასქულიანი შეფასების საფუძველზე, წინასწარ განსაზღვრული შეფასების სკალის შესაბამისად. შეფასების სისტემა დიფერენცირებულად ასახავს ნაშრომის ხარისხს და განსაზღვრავს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგების შემთხვევაში დოქტორანტის შემდგომ შესაძლებლობებს. აღნიშნული მექანიზმი ქმნის სადისერტაციო კვლევის საბოლოო შედეგის შეფასების მკაფიო პროცედურულ საფუძველს.

პროგრამაში განსაზღვრულია დოქტორანტის აკადემიური და კვლევითი საქმიანობის მრავალკომპონენტიანი შეფასების მექანიზმები, რომლებიც მოიცავს განმავითარებელ და შემაჯამებელ შეფასებას და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე რეცენზენტის მონაწილეობას. დადებითად უნდა შეფასდეს სამეცნიერო-კვლევითი პროექტების უშუალო დაკავშირება სადისერტაციო კვლევასთან და მათი დადებითი შეფასების განსაზღვრა დისერტაციის დაცვის წინაპირობად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ანთროპოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა;
- ანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.
- ანთროპოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები:
- „აკადემიური წერა დოქტორანტურის სტუდენტებისთვის“ სილაბუსი;
- „ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა“ სილაბუსი;
- „მეცნიერების მენეჯმენტი“ სილაბუსი;
- „საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების პრინციპები“ სილაბუსი;
- „სწავლა/სწავლების მეთოდები და სტრატეგიები“ სილაბუსი;
- „ჰუმანიტარული კვლევების მეთოდოლოგია“ სილაბუსი.

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველს წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კვლევითი პოტენციალი, შესაბამისი მიმართულებით წინარე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილების არსებობა, წარმატებული პრაქტიკა და კვლევის შედეგები;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს უსდ - ში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებას, დარგობრივი, სამეცნიერო ხასიათის თანამშრომლობის/ პროფესიული ქსელის ჩამოყალიბებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი სწავლის სფეროს თავისებურებიდან გამომდინარე უზრუნველყოფს მეცნიერების/სფეროს, სახელმწიფოს ან/და საზოგადოების, ინტელექტუალურ, სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, ინდუსტრიულ ან/და სხვა სახის განვითარებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი ტრანსფერული უნარების განვითარების გზით ან/და სფეროს აქტუალურ საკითხებზე/ტენდენციებზე დოქტორანტის მიერ ცოდნის გაღრმავებით ხელს უწყობს დოქტორანტის სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის სათანადო ხარისხით განხორციელებას. ასევე, იძლევა მეთოდოლოგიურ მითითებებს კვლევითი კომპონენტის სათანადო დაგეგმვისა და განხორციელებისათვის;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი განაპირობებს მნიშვნელოვანი ინოვაციური მიდგომების ჩამოყალიბებას, რომელიც საკვლევი სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით, ხელს შეუწყობს სამეცნიერო დარგებს შორის ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით თანამშრომლობის განვითარებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს დოქტორანტებისთვის ისეთი კომპეტენციებისა და ტრანსფერული უნარების განვითარებას, როგორიცაა, მაგალითად: კვლევითი-სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება, გრანტების მოძიება და ადმინისტრირება, პროექტების მართვა, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტის დაგეგმვა და განხორციელება, კვლევის შედეგების იმპლემენტაციის გზით ტექნოლოგიურ ტრანსფერში ჩართულობა, ლიდერობა, ხელმძღვანელობა, კარიერის განვითარების დაგეგმვა, სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, მონაცემთა ანალიზი, სწავლება (პედაგოგიური უნარები), პოპულარულ სამეცნიერო ენაზე აზრის გადმოცემა და სხვა;
- უსდ - ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის ეფექტურად განხორციელებისათვის შემუშავებული აქვს: საკვლევი თემის შერჩევის, შეცვლის, სამეცნიერო-კვლევის კომპონენტის განხორციელების და წარდგენის მექანიზმი, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის კვლევის სფეროს/სფეროების შესაბამისად და დოქტორანტთა ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს დოქტორანტის მიერ სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის შესრულებას სათანადო დონეზე აკადემიური კეთილსინდისიერების მექანიზმების დაცვის გათვალისწინებით;
- დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევის გეგმა, ითვალისწინებს - კვლევის მიზანს, სადოქტორო ნაშრომის სტრუქტურის და კვლევის განხორციელების სავარაუდო განრიგს/გრაფიკს, კვლევის მეთოდოლოგიას და სხვა. კვლევის გეგმა მხარს უჭერს დოქტორანტის საკვლევი თემის შესაბამისად საქმიანობის წარმართვას და სადოქტორო ნაშრომის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში

დასრულებას;

- უსდ - ში მოქმედებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეთიკის ნორმები, რომელიც ითვალისწინებს შესაბამის სფეროში მოქმედ კვლევის ეთიკის ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სტრუქტურა მოიცავს 40 კრედიტის სასწავლო და კვლევით კომპონენტებს, რაც დოქტორანტურისთვის კვლევით და აკადემიურ მომზადებას აერთიანებს. სასწავლო კომპონენტში გათვალისწინებულია როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი კურსები და აქტივობები. სავალდებულო ნაწილი მოიცავს დოქტორანტის დარგობრივ სემინარს, პროფესორის ასისტენტობასა და ჰუმანიტარული კვლევების მეთოდოლოგიას, ხოლო არჩევითი კომპონენტი დოქტორანტს აძლევს შესაძლებლობას, პროფესიული და კვლევითი საჭიროებების შესაბამისად შეარჩიოს სწავლების მეთოდები, მეცნიერების მენეჯმენტი, აკადემიური წერა, კვლევაში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება და სხვა აქტივობები.

პროგრამის სტრუქტურის დადებით მხარედ შეიძლება შეფასდეს სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ურთიერთკავშირი. დარგობრივი სემინარი ორიენტირებულია კვლევითი უნარების განვითარებაზე, ხოლო სამეცნიერო-კვლევითი პროექტები უშუალოდ უკავშირდება დოქტორანტის საკვლევ თემატიკას და სადისერტაციო ნაშრომს. ამასთან, კვლევითი პროექტის ფარგლებში მიღებული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების მოთხოვნა ქმნის კვლევის ეტაპობრივი განვითარების შესაძლებლობას. შესაბამისად, პროგრამის სტრუქტურაში იკვეთება ლოგიკური კავშირი დარგობრივ მომზადებას, კვლევითი უნარების განვითარებას, დამოუკიდებელ კვლევასა და სადისერტაციო ნაშრომის მომზადებას შორის.

შინაარსობრივი თვალსაზრისით, პროგრამა ითვალისწინებს როგორც დარგობრივ, ისე ზოგად კვლევით და აკადემიურ კომპეტენციებს. განსაკუთრებით შესაბამისია ჰუმანიტარული კვლევების მეთოდოლოგიის, აკადემიური წერის, დარგობრივი სემინარისა და კვლევითი პროექტების ერთობლიობა, რადგან აღნიშნული კომპონენტები ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგებით განსაზღვრული დამოუკიდებელი კვლევის, არსებული ცოდნის კრიტიკული და ახლებური ანალიზისა და ახალი ცოდნის შექმნის კომპეტენციების განვითარებას.

ამასთან, პროგრამის სტრუქტურის კიდევ უფრო მკაფიოდ წარმოჩენისთვის სასურველია სასწავლო და კვლევითი კომპონენტების თანმიმდევრობა სემესტრების მიხედვით უფრო დეტალურად იყოს ასახული. წარმოდგენილ ცხრილში კვლევითი პროექტებისა და სადისერტაციო ნაშრომის მომზადების კომპონენტებისთვის მითითებულია შემოდგომა/გაზაფხული, თუმცა ნაკლებად იკვეთება, რა ეტაპზე და რა თანმიმდევრობით უნდა შესრულდეს თითოეული კვლევითი აქტივობა. დოქტორანტურის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასარგებლო იქნება კვლევის ეტაპების - კვლევის დაგეგმვა, პროექტების განხორციელება, შედეგების განხილვა/რეცენზირება და დისერტაციის დასრულება - უფრო მკაფიოდ სტრუქტურირება.

ასევე, არჩევითი კომპონენტების ფართო ჩამონათვალი დადებით შესაძლებლობას ქმნის ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი საჭიროებების გათვალისწინებისთვის, თუმცა სასურველია პროგრამაში უფრო მკაფიოდ განისაზღვროს მათი არჩევის პრინციპი და კავშირი დოქტორანტის ინდივიდუალურ კვლევით საჭიროებებთან. განსაკუთრებით ეს ეხება 5–10 კრედიტის ფარგლებში

გათვალისწინებულ გარე და უნივერსიტეტის სხვა სადოქტორო პროგრამების კურსებსა და „სხვა სახის აქტივობას“.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის თვალსაზრისით, წარმოდგენილი სტრუქტურა და შინაარსი შეესაბამება სადოქტორო საფეხურის კვლევით ორიენტაციას. პროგრამაში დარგობრივი მომზადება, კვლევის მეთოდოლოგია, დამოუკიდებელი კვლევითი პროექტები და სადისერტაციო ნაშრომი ქმნის იმ კომპეტენციების განვითარების საფუძველს, რომლებიც ანთროპოლოგიის დოქტორის კვალიფიკაციისთვის არის რელევანტური.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ანთროპოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა;
- ანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.
- ანთროპოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები:
- „აკადემიური წერა დოქტორანტურის სტუდენტებისთვის“ სილაბუსი;
- „ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა“ სილაბუსი;
- „მეცნიერების მენეჯმენტი“ სილაბუსი;
- „საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების პრინციპები“ სილაბუსი;
- „სწავლა/სწავლების მეთოდები და სტრატეგიები“ სილაბუსი;
- „ჰუმანიტარული კვლევების მეთოდოლოგია“ სილაბუსი.

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- სასურველია, სასწავლო და კვლევითი კომპონენტების თანმიმდევრობა სემესტრების მიხედვით უფრო მკაფიოდ განისაზღვროს, განსაკუთრებით კვლევის დაგეგმვის, კვლევითი პროექტების განხორციელების, შედეგების განხილვა/რეცენზირებისა და სადისერტაციო ნაშრომის მომზადების ეტაპების მიმართულებით.
- სასურველია, არჩევითი კომპონენტების არჩევის პრინციპები უფრო მკაფიოდ განისაზღვროს და გამოიკვეთოს მათი კავშირი დოქტორანტის ინდივიდუალურ სასწავლო და კვლევით საჭიროებებთან, მათ შორის „სხვა სახის აქტივობის“ შემთხვევაში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს 40 ECTS კრედიტს, საიდანაც 25 კრედიტი ეთმობა სავალდებულო, ხოლო 15 კრედიტი არჩევით კურსებსა და აქტივობებს. სავალდებულო კომპონენტი მოიცავს დოქტორანტის დარგობრივ სემინარს (15 ECTS), პროფესორის ასისტენტობას (5 ECTS) და ჰუმანიტარული კვლევების მეთოდოლოგიას (5 ECTS). აღნიშნული განაწილება უზრუნველყოფს დოქტორანტის დარგობრივი მომზადების, კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლებისა და აკადემიურ გარემოში პროფესიული საქმიანობის განვითარების კომპლექსურ მხარდაჭერას.

კურსების შინაარსისა და სილაბუსების ანალიზი აჩვენებს, რომ მათი სწავლის შედეგები, კრედიტების მოცულობა, სასწავლო დატვირთვა, სწავლებისა და შეფასების მეთოდები ძირითადად ურთიერთშესაბამისობაშია. მაგალითად, „ჰუმანიტარული კვლევების მეთოდოლოგიის“ კურსი (5 ECTS; 125 საათი) პირდაპირ ემსახურება კვლევის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის საჭირო მეთოდოლოგიური კომპეტენციების განვითარებას, ხოლო 15-კრედიტიანი დარგობრივი სემინარი ორიენტირებულია აქტუალური სამეცნიერო საკითხების კვლევაზე, აკადემიურ პრეზენტაციასა და კვლევითი უნარების განვითარებაზე. პროფესორის ასისტენტობა (5 ECTS) ხელს უწყობს დოქტორანტის აკადემიურ და პროფესიულ კომპეტენციებს და მოიცავს სწავლების, შეფასებისა და აკადემიური საქმიანობის სხვადასხვა ფორმაში მონაწილეობას.

არჩევითი კომპონენტი (15 ECTS) დოქტორანტს აძლევს შესაძლებლობას, საკუთარი კვლევითი და პროფესიული საჭიროებების შესაბამისად აირჩიოს შესაბამისი კურსები და აქტივობები, მათ შორის სწავლების მეთოდები, მეცნიერების მენეჯმენტი, აკადემიური წერა, კვლევასა და სწავლებაში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება. ამასთან, არჩევითი კომპონენტი მოიცავს დარგობრივი სემინარისა და პროფესორის ასისტენტობის დამატებით განხორციელების, სხვა სადოქტორო პროგრამების, მათ შორის უცხოეთისა და საქართველოს აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსების არჩევის შესაძლებლობას (5–10 ECTS). აღნიშნული მექანიზმი ქმნის ინდივიდუალური კვლევითი საჭიროებებისა და აკადემიური განვითარების გათვალისწინების შესაძლებლობას.

სილაბუსებში წარმოდგენილი სასწავლო მასალა ძირითადად შეესაბამება კურსების თემატიკასა და სწავლის შედეგებს და მოიცავს დარგის შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურას. კურსების შეფასების ფორმები: სასემინარო ნაშრომი, პრეზენტაცია, დამოუკიდებელი სამუშაო და სხვა შესაბამისი დავალებები - იძლევა დოქტორანტის ცოდნისა და კვლევითი უნარების შეფასების შესაძლებლობას. ამასთან, სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ურთიერთკავშირი მკაფიოდ იკვეთება: დარგობრივ სემინარზე მიღებული გამოცდილება გამოიყენება სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მომზადებისას, ხოლო ორი კვლევითი პროექტი უშუალოდ უკავშირდება დოქტორანტის სადისერტაციო კვლევას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვლევითი პროექტების შინაარსობრივი მოთხოვნები: პროექტი უნდა წარმოადგენდეს დამოუკიდებელ სამეცნიერო ნაშრომს დოქტორანტის საკვლევი თემატიკის

ფარგლებში, მოიცავდეს საკითხის ახლებურ გადაწყვეტასა და ორიგინალურ სამეცნიერო დასკვნებს. ამასთან, პროექტების მიმართ გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება სავალდებულოა დისერტაციის დასრულებამდე. აღნიშნული მოთხოვნები აძლიერებს კავშირს სასწავლო კომპონენტში მიღებულ ცოდნას, დამოუკიდებელ კვლევასა და სადისერტაციო ნაშრომის მომზადებას შორის.

სასწავლო კურსების შინაარსი, კრედიტების მოცულობა, სწავლის შედეგები, სასწავლო დატვირთვა, სწავლებისა და შეფასების მეთოდები და სასწავლო მასალა ძირითადად უზრუნველყოფს კურსებითა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. 40 ECTS-ის ფარგლებში სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების განაწილება, დარგობრივი და მეთოდოლოგიური მომზადების, აკადემიური უნარებისა და კვლევითი საქმიანობის ერთობლიობა შეესაბამება სადოქტორო პროგრამის კვლევით ორიენტაციას. დადებითად ფასდება დარგობრივი სემინარის, კვლევის მეთოდოლოგიისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების თანმიმდევრული კავშირი, რაც ქმნის დოქტორანტის დამოუკიდებელი კვლევისა და სადისერტაციო ნაშრომის მომზადებისთვის საჭირო კომპეტენციების განვითარების საფუძველს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ანთროპოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა;
- ანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.
- ანთროპოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები:
- „აკადემიური წერა დოქტორანტურის სტუდენტებისთვის“ სილაბუსი;
- „ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა“ სილაბუსი;
- „მეცნიერების მენეჯმენტი“ სილაბუსი;
- „საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების პრინციპები“ სილაბუსი;
- „სწავლა/სწავლების მეთოდები და სტრატეგიები“ სილაბუსი;
- „ჰუმანიტარული კვლევების მეთოდოლოგია“ სილაბუსი.

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები საჯაროა, მოიცავს ინფორმაციას პროგრამის, მიღების ვადების და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, ინფორმაციას ხელმძღვანელების კვლევითი ინტერესების და დოქტორანტების მიერ კვლევის განხორციელებისათვის მხარდამჭერი და წახალისების მექანიზმების და სხვა ასპექტების შესახებ;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღება კანდიდატების გამოცდილებისა და შესაძლებლობების შეფასება, რაც სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებისათვის არის საჭირო;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებისას მხედველობაში მიიღება ასევე უსდ-ს/ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის სტრატეგია;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე უზრუნველყოფილია დოქტორანტთა მიღება კომისიური წესით;
- უსდ-ში განსაზღვრულია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების პროცესში ჩართული კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის, საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამაზე დაშვების მსურველ პირთა შეფასებას-ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირი კომისიას უსდ-ში დადგენილი წესის შესაბამისად, წარუდგენს კვლევის/შემოქმედებითი კვლევის თეზისს/პროექტს. კანდიდატს, მოეთხოვება შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება. დადგენილი მოთხოვნები უნდა იძლეოდეს კანდიდატის კვლევითი უნარების შეფასების შესაძლებლობას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების დროს დგინდება უცხო ენის ფლობის დონე, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით პროგრამაზე პირის მიერ ინგლისური ენის ცოდნას არანაკლებ B2 დონეზე ან ერთ-ერთი დასავლეთ ევროპული სხვა უცხოური ენის ცოდნას არანაკლებ B2 დონეზე და ინგლისურ ენის ცოდნას არანაკლებ B1 დონეზე;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტთა მიღება ხდება უსდ-ში არსებული ადამიანური, ფინანსური და კვლევითი რესურსების, მათ შორის დოქტორანტის ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობის გათვალისწინებით. ასევე, უსდ-ს მიერ მხედველობაში მიიღება პროგრამაზე ჩარიცხული დოქტორანტების სწავლის დროულად დასრულების მაჩვენებლების ანალიზის შედეგები.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ანთროპოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია პროგრამის საფეხურის, სპეციფიკის, მიზნებისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით და შესაბამისად. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დადასტურება თსუ-ის უცხოური ენების ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე შესაბამისი სერტიფიკატით.

კვლევითი უნარებისა და პროგრამის წარმატებით დაძლევის შესაძლებლობის შეფასების მიზნით, კანდიდატს მოეთხოვება ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა, ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ ორწლიანი გამოცდილება. ასევე, კანდიდატი მიმღებ კომისიას წერილობით წარუდგენს სადოქტორო კვლევის თეზისს/პროექტს. კვლევის თეზისის/პროექტის დადებითად შეფასების შემდეგ კანდიდატი გადის გასაუბრებას სპეციალობაში, ხოლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება გასაუბრებისა და კვლევის თეზისის/პროექტის შეფასების შედეგად მიღებული ქულების საფუძველზე, მიმღები კომისიის რეკომენდაციით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად ასევე განსაზღვრულია სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის თანხმობა და ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის რეკომენდაცია.

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, კანდიდატთა შერჩევისას გათვალისწინებულია მათი აკადემიური გამოცდილება, კვლევითი ინტერესების შესაბამისობა პროგრამის მიმართულებებთან, სამეცნიერო კვლევის განხორციელების შესაძლებლობა და სადოქტორო კვლევის გეგმის ხარისხი. აღნიშნული წინაპირობები იძლევა კანდიდატის კვლევითი მზაობისა და სადოქტორო საფეხურზე სწავლისათვის საჭირო შესაძლებლობების შეფასების საშუალებას.

ამასთან, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იკვეთება გარკვეული შეუსაბამობა პროგრამასა და თვითშეფასების ანგარიშს შორის. კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ პროგრამაზე დაშვებისათვის კანდიდატს უნდა ჰქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი შესაბამის ან მონათესავე სფეროში, მაშინ როდესაც პროგრამის აღწერილობაში სფეროსთან დაკავშირებული აღნიშნული შეზღუდვა არ არის განსაზღვრული. შესაბამისად, მიზანშეწონილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობების ფორმულირების ერთგვაროვანი ასახვა შესაბამის დოკუმენტებში.

პროგრამაში მითითებულია, რომ დოქტორანტურაში მიღების შესახებ ინფორმაცია განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე. დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროგრამაზე მიღების პროცედურები არის გამჭვირვალე, სამართლიანი და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის. უნივერსიტეტის ვებგვერდის შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ საჯაროდ განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და არ არის განთავსებული პროგრამაზე მიღების სხვა საჭირო ინფორმაცია, მაგალითად, დაშვების წინაპირობები და სხვა პროცედურული საკითხები.

თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესაბამისობა პერიოდულად ფასდება დოქტორანტთა აკადემიური პროგრესისა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის საფუძველზე. აღნიშნული ინფორმაციის დასადასტურებლად დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ანთროპოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა;
- ანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.

[რეკომენდაციები]

-

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- სასურველია, პროგრამაზე მიღების შესახებ საჯარო ინფორმაცია მოიცავდეს მიღების ვადებს, წარმოსადგენ დოკუმენტაციას, პოტენციური სამეცნიერო ხელმძღვანელების კვლევით ინტერესებსა, მიღების წინაპირობებს და სხვა პროცედურულ საკითხებს.
- სასურველია, პროგრამასა და თვითშეფასების ანგარიშში ერთგვაროვნად ჩამოყალიბდეს მაგისტრის აკადემიური ხარისხის სფეროსთან დაკავშირებული მოთხოვნა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ანთროპოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები მკაფიოდ არის ორიენტირებული დოქტორანტთა პრაქტიკული და სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებაზე. პროგრამის მიზნებს შორის განსაზღვრულია პრაქტიკული კვლევების განხორციელების, მოვლენების პროგნოზირებისა და რეკომენდაციების შემუშავების უნარების გამომუშავება, ასევე საველე სამუშაოების ჩატარების, დაკვირვების, ინტერვიურების, დოკუმენტებისა და ინფორმაციის ანალიზისა და სხვა ანთროპოლოგიური კვლევის მეთოდების გამოყენების უნარების განვითარება.

აღნიშნული მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს პროგრამის როგორც სასწავლო, ისე კვლევითი კომპონენტები. კვლევითი ნაწილის მნიშვნელოვანი ელემენტია ორი სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი პროექტი. პროგრამის სტრუქტურის მიხედვით, თითოეული პროექტი წარმოადგენს დოქტორანტის უშუალო სადისერტაციო თემატიკის ფარგლებში დამოუკიდებლად შესრულებულ სამეცნიერო ნაშრომს, რომელშიც უნდა გამოიკვეთოს საკითხის ახლებური გადაწყვეტა და

ორიგინალური სამეცნიერო დასკვნები. კვლევითი პროექტები სადისერტაციო ნაშრომის ნაწილია და მათი შესრულება და დადებითად შეფასება დისერტაციის დაცვაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს.

კვლევითი პროექტების საჯარო განხილვა/პრეზენტაცია ხორციელდება სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და შესაბამისი დარგის აკადემიური პერსონალის მონაწილეობით. პროექტის განხილვისას მიღებული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება დოქტორანტისთვის სავალდებულოა დასრულებული დისერტაციის წარდგენამდე. აღნიშნული მექანიზმი ხელს უწყობს არა მხოლოდ დამოუკიდებელი კვლევის წარმოების, არამედ კვლევის შედეგების აკადემიურ გარემოში წარდგენის, პროფესიული უკუკავშირის გაანალიზებისა და კვლევის შემდგომი გაუმჯობესების უნარების განვითარებას.

კვლევითი უნარების განვითარებას ემსახურება ასევე დოქტორანტის დარგობრივი სემინარი, რომლის ფარგლებშიც დოქტორანტები საჯარო განხილვისათვის ამზადებენ და წარმოადგენენ დარგის აქტუალურ სამეცნიერო საკითხებთან დაკავშირებულ ნაშრომებს. სემინარი ორიენტირებულია აკადემიური წერის ნორმების, დარგობრივი კვლევის მეთოდოლოგიის, სამეცნიერო პრობლემის ანალიზისა და კვლევის შედეგების არგუმენტირებული წარდგენის უნარების განვითარებაზე. დარგობრივ სემინარზე მიღებული გამოცდილება შემდგომ გამოიყენება დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მომზადებისას.

კვლევითი კომპეტენციების განვითარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სავალდებულო სასწავლო კურსი „ჰუმანიტარული კვლევების მეთოდოლოგია“. კურსი მიზნად ისახავს დოქტორანტის მიერ ჰუმანიტარული კვლევის მეთოდოლოგიური მიდგომების გააზრებას, სხვადასხვა კვლევითი მეთოდის შედარებასა და ანალიზს და დამოუკიდებელი კვლევის სტრატეგიის ჩამოყალიბებას. კურსის ფარგლებში განხილულია კვლევის სხვადასხვა ტიპი და მეთოდოლოგიური მიდგომა, მათ შორის ემპირიული კვლევა, კონტექსტუალისტური, ისტორიული და სხვა მიდგომები.

პროგრამაში წარმოდგენილი არჩევითი სასწავლო კომპონენტები ასევე ავითარებს კვლევითი საქმიანობისათვის საჭირო პრაქტიკულ და ტრანსფერულ უნარებს. მაგალითად, „აკადემიური წერა დოქტორანტებისთვის“ ითვალისწინებს სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკულ ანალიზს, სამეცნიერო არგუმენტის ჩამოყალიბებას, რეცენზიის, სამეცნიერო სტატიისა და სხვა აკადემიური ტექსტების მომზადებას, ასევე სამეცნიერო დისკუსიასა და საჯარო პრეზენტაციას. კურსის ფარგლებში დოქტორანტები ამზადებენ რეცენზიას და დამოუკიდებელ სამეცნიერო ნაშრომს/სტატიას, რაც პირდაპირ უკავშირდება მათი აკადემიური კომუნიკაციისა და კვლევის შედეგების გავრცელების უნარების განვითარებას.

„მეცნიერების მენეჯმენტის“ კურსი ავითარებს სამეცნიერო კარიერისა და კვლევითი პროექტების მართვისათვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ უნარებს. დოქტორანტები ეცნობიან ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდებს, საგრანტო განაცხადების მომზადებასა და წარდგენას, პროექტის ბიუჯეტირებას, სამეცნიერო პროფილის ფორმირებას, ბიბლიომეტრიულ ბაზებთან მუშაობასა და სამეცნიერო შედეგების შეფასებას. პრაქტიკული დავალებები მოიცავს, მათ შორის, GMUS-ში მეცნიერის პროფილის შექმნას, კვლევითი პროექტის ბიუჯეტის, CV-ისა და საპროექტო წინადადების მომზადებას.

ტრანსფერული უნარების განვითარებას ხელს უწყობს ასევე „პროფესორის ასისტენტობა“, რომლის ფარგლებში დოქტორანტი შეიძლება ჩაერთოს სამუშაო ჯგუფებისა და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარებაში, სასწავლო და შეფასების მასალების მომზადებაში, სტუდენტთა ნაშრომების შეფასებაში, ელექტრონული სასწავლო კურსის შექმნაში, ტუტორობასა და სხვა აკადემიურ საქმიანობაში. აღნიშნული აქტივობა ავითარებს სწავლების, კომუნიკაციის, ორგანიზაციულ, თანამშრომლობისა და პროფესიული პასუხისმგებლობის უნარებს.

ციფრული და თანამშრომლობითი უნარების განვითარებას უზრუნველყოფს კურსი „ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა“, რომლის ფარგლებში დოქტორანტები მუშაობენ კვლევით ინსტრუმენტებთან, ელექტრონულ

სასწავლო პლატფორმებთან, ვირტუალურ ოფისთან, საძიებო სისტემებთან, პროფესიულ საკომუნიკაციო ქსელებთან და ქმნიან ელექტრონულ კურსებს.

პროგრამა ასევე ითვალისწინებს დოქტორანტების მონაწილეობას საერთაშორისო, რეგიონულ და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში და რეცენზირებად/რეფერირებად გამოცემებში პუბლიკაციების მომზადებას. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის აღწერაში მითითებულია დოქტორანტთა სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობაში მონაწილეობის მხარდაჭერაც. აღნიშნული შესაძლებლობები ხელს უწყობს სამეცნიერო კომუნიკაციის, პროფესიული ქსელების შექმნისა და კვლევის შედეგების ფართო აკადემიურ სივრცეში გავრცელების უნარების განვითარებას. კვლევითი კომპონენტი უშუალოდ არის დაკავშირებული დოქტორანტის სადისერტაციო კვლევასთან. დოქტორანტს დისერტაციის დაცვამდე მოეთხოვება ორი სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესრულება და საჯარო დაცვა, რომლებიც წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის ნაწილს. თითოეული პროექტი გადის რეცენზირებასა და საჯარო განხილვას, ხოლო მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინება დისერტაციის დასრულებამდე სავალდებულოა, რაც უზრუნველყოფს კვლევითი პროცესის ეტაპობრივ განვითარებას, განმავითარებელ შეფასებასა და ხარისხის გაუმჯობესებას.

პროგრამა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კვლევის შედეგების საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში ინტეგრაციას. დოქტორანტს დისერტაციის დაცვამდე მოეთხოვება სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგების ამსახველი მინიმუმ სამი სამეცნიერო პუბლიკაცია, რომელთაგან ორი გამოქვეყნებული უნდა იყოს საერთაშორისო რეფერირებად (peer-reviewed) გამოცემებში, ხოლო ერთ-ერთი მაინც ინდექსირებული იყოს Scopus-ის, Web of Science-ის ან შესაბამისი მიმართულებებისთვის ERIH PLUS-ის ბაზებში. აღნიშნული მოთხოვნები, სადისერტაციო ნაშრომის შეფასების ინტერნაციონალიზაციასთან ერთად, რომელიც ხორციელდება უნივერსიტეტის სადოქტორო მინიმალური სტანდარტისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების შესაბამისად, უზრუნველყოფს დოქტორანტის კვლევითი საქმიანობის საერთაშორისო აკადემიურ სტანდარტებთან შესაბამისობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ანთროპოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა;
- „ჰუმანიტარული კვლევების მეთოდოლოგია“ სილაბუსი;
- „აკადემიური წერა დოქტორანტებისთვის“ სილაბუსი;
- „მეცნიერების მენეჯმენტი“ სილაბუსი;
- „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა“ სილაბუსი.

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება

2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ანთროპოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის და წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსების ანალიზი აჩვენებს, რომ პროგრამაში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება როგორც სადოქტორო საფეხურის სპეციფიკას, ისე პროგრამისა და ცალკეული სასწავლო კომპონენტების მიზნებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის დონეზე გათვალისწინებულია ვერბალური და პრაქტიკული მეთოდები, წიგნსა და სხვა სასწავლო მასალაზე მუშაობა, ანალიზი და სინთეზი, დისკუსია, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზი და ჯგუფური მუშაობა. ამასთან, პროგრამა მოიცავს დარგობრივ სემინარებს, სამეცნიერო-კვლევით პროექტებს, კონფერენციებში მონაწილეობას, სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადებასა და სხვა კვლევით აქტივობებს, რაც ხელს უწყობს დოქტორანტის დამოუკიდებელ მკვლევრად ჩამოყალიბებას.

სილაბუსების შესწავლით დასტურდება, რომ სწავლება-სწავლის მეთოდები არ შემოიფარგლება ინფორმაციის გადაცემაზე ორიენტირებული მიდგომებით და ეფუძნება სტუდენტის აქტიურ ჩართულობას, დამოუკიდებელ მუშაობას, პრაქტიკული ამოცანების შესრულებას, კვლევას, ანალიზს, დისკუსიასა და მიღებული შედეგების საჯარო წარმოდგენას.

მაგალითად, სასწავლო კურსში „აკადემიური წერა დოქტორანტურის სტუდენტებისთვის“ გამოყენებულია სამუშაო ჯგუფში პრაქტიკული მუშაობა, დამოუკიდებელი მუშაობა, დისკუსია-დებატები, წერითი მუშაობა, წიგნსა და წყაროებზე მუშაობა, როლური და სიტუაციური თამაშები, ჯგუფური და თანამშრომლობითი სწავლება, ელექტრონული სწავლება და პრეზენტაცია. აღნიშნული მეთოდები უშუალოდ შეესაბამება კურსის შედეგებს, რომლებიც მოიცავს სამეცნიერო ტექსტის შექმნას, წყაროების კრიტიკულ ანალიზს, აკადემიურ დისკუსიაში მონაწილეობას, საკუთარი პოზიციის დასაბუთებასა და კვლევითი ნაშრომის მომზადებას. კურსის ფარგლებში დოქტორანტები თავად ამუშავებენ სამეცნიერო სტატიებს, წერენ რეცენზიას და ქმნიან სამეცნიერო ნაშრომს, რაც სწავლების პრაქტიკულ და სტუდენტზე ორიენტირებულ ამლიერებს ხასიათს.

სასწავლო კურსი „მეცნიერების მენეჯმენტი“ ასევე ეფუძნება დისკუსიას/დებატებს, დემონსტრირებას, ახსნა-განმარტებასა და ქმედებაზე ორიენტირებულ სწავლებას. დოქტორანტები პრაქტიკულად ამზადებენ მეცნიერის პროფილს, კვლევითი პროექტის ბიუჯეტს, საპროექტო წინადადებას, შესაბამის CV-სა და სამეცნიერო სტატიის კომპონენტებს. შესაბამისად, სწავლების მეთოდები დაკავშირებულია კურსის შედეგებთან და შესაძლებლობას აძლევს დოქტორანტს მიღებული ცოდნა გამოიყენოს რეალურ კვლევით და აკადემიურ საქმიანობასთან მიახლოებულ გარემოში.

განსაკუთრებით მკაფიოდ არის გამოხატული სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება კურსში „საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების პრინციპები“. სემინარული მუშაობა ეთმობა თავად დოქტორანტების მიერ მომზადებული სილაბუსებისა და საგანმანათლებლო პროგრამების

პრეზენტაციას, საჯარო განხილვასა და ანალიზს. გამოიყენება დისკუსია/დებატები, ჯგუფური და თანამშრომლობითი სწავლება, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები და ელექტრონული სწავლება. სილაბუსში ასევე მიზანმიმართულად არის გაზრდილი დამოუკიდებელი მუშაობის წილი, რაც შეესაბამება სადოქტორო საფეხურზე სტუდენტის ავტონომიურობის მოთხოვნას.

სასწავლო კურსი „სწავლა/სწავლების მეთოდები და სტრატეგიები“ თავისი მიზნიდან გამომდინარე უშუალოდ ემყარება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს და იყენებს ინტერაქტიულ მეთოდებს, გუნდურ მუშაობას, დისკუსიას, ქეისებით სწავლებას, პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებასა და გონებრივ იერიშს. დოქტორანტები ამზადებენ პროექტს/პრეზენტაციას და საკუთარი სპეციალობის მიხედვით სწავლების დეტალურ გეგმას, სადაც ფასდება, მათ შორის, შესაბამისი სწავლების მეთოდების შერჩევაც. ეს მიდგომა უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას და დოქტორანტის მიერ საკუთარი სწავლების პრაქტიკის გააზრებასა და განვითარებას.

პროგრამის სავალდებულო კომპონენტში „ჰუმანიტარული კვლევების მეთოდოლოგია“ გამოყენებულია სალექციო და პრაქტიკული/სასემინარო მუშაობა, დისკუსია, ჯგუფური მუშაობა, პრეზენტაცია, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება და ელექტრონული სწავლება. კურსის სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა სხვადასხვა მეთოდოლოგიური მიდგომის შედარებასა და კრიტიკულ ანალიზს, კვლევის სტრატეგიის ჩამოყალიბებასა და ანალიტიკური ნაშრომის მომზადებას, რაც სათანადოდ პასუხობს სადოქტორო საფეხურზე კვლევითი უნარებისა და ავტონომიურობის განვითარების მოთხოვნას.

სასწავლო კურსში „ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა“ გამოყენებულია დისტანციური სწავლება, პრაქტიკუმი და პრეზენტაცია. კურსის პრაქტიკული ორიენტაცია შეესაბამება მის სწავლის შედეგებს - ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში გამოყენებასა და Moodle-ის პლატფორმაზე ელექტრონული კურსის შექმნას. დოქტორანტები ქმნიან კონკრეტულ ელექტრონულ პროდუქტებს, რაც ამ კომპონენტშიც აქტიური სწავლის მიდგომის გამოყენებას ადასტურებს.

წარმოდგენილი სილაბუსების ერთობლივი ანალიზი აჩვენებს, რომ სწავლება-სწავლის მეთოდები მრავალფეროვანია და სასწავლო კურსის სპეციფიკის შესაბამისად განსხვავდება. თეორიულ ცოდნასთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კვლევითი პრობლემების ანალიზს, დამოუკიდებელ მუშაობას, დისკუსიას, პროექტულ და პრაქტიკულ აქტივობებს, სამეცნიერო ტექსტების შექმნას, პრეზენტაციასა და თანატოლებთან აკადემიურ კომუნიკაციას. აღნიშნული მიდგომები შეესაბამება სადოქტორო განათლების დონეს და ხელს უწყობს პროგრამით განსაზღვრული ცოდნის, კვლევითი უნარების, კრიტიკული აზროვნების, აკადემიური კომუნიკაციისა და პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის განვითარებას.

ამასთან, ცალკეულ სილაბუსებში სწავლება-სწავლის მეთოდების აღწერის დეტალიზაციის ხარისხი განსხვავებულია. კერძოდ, „ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა“ სილაბუსში მეთოდები მხოლოდ ჩამონათვალის სახითაა წარმოდგენილი და ნაკლებად ჩანს თითოეული მეთოდის გამოყენების ფორმა და მისი კონკრეტულ სწავლის შედეგებთან კავშირი. აღნიშნული გარემოება არსებით გავლენას არ ახდენს კომპონენტის შესაბამისობაზე, რადგან კურსის შინაარსი და პრაქტიკული აქტივობები მეთოდებისა და სწავლის შედეგების კავშირს ადასტურებს, თუმცა სასურველია სილაბუსებში სწავლება-სწავლის მეთოდების აღწერის მიმართ უფრო ერთგვაროვანი მიდგომის გამოყენება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ანთროპოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- „აკადემიური წერა დოქტორანტურის სტუდენტებისთვის“ სილაბუსი;
- „ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა“ სილაბუსი;
- „მეცნიერების მენეჯმენტი“ სილაბუსი;
- „საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების პრინციპები“ სილაბუსი;
- „სწავლა/სწავლების მეთოდები და სტრატეგიები“ სილაბუსი;
- „ჰუმანიტარული კვლევების მეთოდოლოგია“ სილაბუსი.

რეკომენდაციები

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლება-სწავლის მეთოდების აღწერა წარმოდგენილი იყოს ერთგვაროვანი დეტალიზაციით და, სადაც მეთოდები მხოლოდ ჩამონათვალის სახითაა მოცემული, უფრო ნათლად გამოიკვეთოს მათი გამოყენების ფორმა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია

2.4. სტუდენტების შეფასება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- დოქტორანტების შეფასება ხდება უსდ - ში დადგენილი პროცედურების მიხედვით, რომელიც გამჭვირვალეა, სანდოა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება სასწავლო კომპონენტის შინაარსისა და სადოქტორო საფეხურის მოთხოვნების შესაბამისი მეთოდების გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტის ცოდნისა და უნარების, მათ შორის, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების, კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევისა და დამოუკიდებლად გამოყენების, აზრის არგუმენტირებულად გადმოცემისა და სხვა უნარების შეფასებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს დისერტაციის/შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის, ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის დაცვაზე დოქტორანტის დაშვების წინაპირობებს, რომელიც ითვალისწინებს დოქტორანტის პროგრესის პერიოდულ განმავითარებელ შეფასებებს;
- დოქტორანტის მიერ დისერტაციის/შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარდგენამდე დოქტორანტს მოეთხოვება შესაბამის კვლევის სფეროში

არანაკლებ ორი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება, მათ შორის ერთი სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში;

- სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ ხდება დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის თანმიმდევრულად შესრულების პროგრესის პერიოდული დაკვირვება, განმავითარებელი შეფასება და უკუკავშირის მიცემა;
- სადოქტორო ნაშრომის შესრულების აკადემიური სტილის მოთხოვნები, სადოქტორო ნაშრომის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, წინასწარ ცნობილია დოქტორანტებისათვის და გათვალისწინებულია დოქტორანტთა ნაშრომების შეფასებისას;
- სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასებისას უსდ იყენებს აკადემიური და კვლევის ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების მექანიზმებს;
- სადოქტორო ნაშრომების დაცვა ხდება უსდ-ში არსებული სადოქტორო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის პროცედურების მიხედვით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან;
- სადოქტორო ნაშრომის შეფასება ხდება კომისიური წესით - კომისიის/კომისიების მიერ;
- სადოქტორო ნაშრომის შეფასებისა ან/და დაცვის პროცედურები ითვალისწინებს სადისერტაციო ნაშრომზე შესაბამისი კომპეტენციის მქონე დაწესებულების (ადგილობრივი ან/და უცხოური უნივერსიტეტი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი), ადგილობრივი და საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნებს (საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნა სავალდებულო არ არის შემდეგი სწავლის სფეროებისთვის: ქართული ფილოლოგია, აფხაზური ფილოლოგია, ასევე, იმ შემთხვევაში, თუკი დოქტორანტს ჰყავს საერთაშორისო ხელმძღვანელი), რომელიც აფასებს სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო კვლევის/შემოქმედებითი ნაშრომის სიახლეს და მზაობას სადისერტაციო ნაშრომის დაცვისათვის;
- ადგილობრივი რეცენზენტი არის ადგილობრივი უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;
- საერთაშორისო რეცენზენტი არის უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;
- უნივერსიტეტის მიერ სადოქტორო ნაშრომის რეცენზენტების შერჩევისა და დანიშვნის მექანიზმები და პროცესები უნდა იყოს გამჭვირვალე, მიუკერძოებელი და ობიექტური. რეცენზენტების შერჩევისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი ანონიმურობა, რაც ხელს უწყობს მიუკერძოებელი, სამართლიანი და ობიექტური დასკვნის მომზადებას;
- დაცვის კომისიის/კომისიების შემადგენლობაში შედიან შესაბამისი სფეროს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლები, რომელთა კვალიფიკაცია და კომპეტენცია იძლევა ნაშრომის სიღრმისეულად და სრულყოფილად შეფასების და კვლევის/საშემსრულებლო კვლევის ორიგინალობისა და მისი შედეგების შეფასების

შესაძლებლობას;

- დაცვის კომისიის/კომისიების შემადგენლობაში უზრუნველყოფილია გარე შემფასებლების მონაწილეობა. დაცვის კომისიის/კომისიების მუშაობაში არ მონაწილეობს დოქტორანტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი;
- სფეროს თავისებურების გათვალისწინებით, დაცვის კომისიის/კომისიების შემადგენლობაში საჭიროების შემთხვევაში შედიან - შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის საერთაშორისო შემფასებელი/შემფასებლები, სამთავრობო/არასამთავრობო სექტორის, შრომის ბაზრის წარმომადგენელ(ებ)ი;
- სადოქტორო ნაშრომის დაცვა არის საჯარო და ღია; სადოქტორო ნაშრომის აბსტრაქტი/რეზიუმე ქართულ, ინგლისურ და პროგრამის განხორციელების ენებზე არის საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომი;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე უზრუნველყოფილია კანდიდატთა პროგრამაზე ჩარიცხვისა და დისერტაციის დაცვის პროცედურების გასაჩივრება. გასაჩივრების პროცედურები საჯაროა და უზრუნველყოფს ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას;
- უსდ - ს მიერ შემუშავებულია რეცენზენტის მოძიების, დანიშვნისა და მისი საქმიანობის მექანიზმები;
- მიმდინარე სადისერტაციო ნაშრომების თემატიკის შესახებ და დაცული დისერტაციების შესახებ ინფორმაცია უსდ - ს მიერ განთავსებულია ერთიან ელექტრონულ პორტალზე.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ანთროპოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია დოქტორანტთა სასწავლო და კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემა. პროგრამის და სილაბუსების მიხედვით, სტუდენტის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. განსაზღვრულია 100-ქულიანი შეფასების სისტემა, დადებითი და უარყოფითი შეფასებების კანონმდებლობით განსაზღვრული კატეგორიები, დასკვნით გამოცდაზე დაშვების მინიმალური ზღვარი, ასევე დასკვნითი გამოცდისთვის დაწესებული მინიმალური ზღვარი.

წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსების ანალიზი აჩვენებს, რომ შეფასების ფორმები და მეთოდები შეესაბამება კურსების შინაარსს, მიზნებსა და სწავლის შედეგებს და იძლევა დოქტორანტის არა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის, არამედ ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების, დამოუკიდებელი მსჯელობის, კვლევითი და პრაქტიკული უნარების შეფასების შესაძლებლობას. მაგალითად, „აკადემიური წერა დოქტორანტებისთვის“ ითვალისწინებს პრაქტიკულ მუშაობას, სამეცნიერო სტატიის რეცენზირებასა და დამოუკიდებელი სამეცნიერო ნაშრომის მომზადებას; შეფასების კრიტერიუმები მოიცავს ანალიზსა და არგუმენტაციას, კვლევის სიღრმესა და ორიგინალობას, კვლევის მეთოდების გამოყენებას, ნაშრომის სტრუქტურას, ციტირების წესებსა და აკადემიურ ენას. „ჰუმანიტარული კვლევების მეთოდოლოგიის“ ფარგლებში კი ფასდება სემინარული აქტივობა, წერითი დავალებები, პრეზენტაცია, შუალედური ნაშრომი და დასკვნითი ანალიტიკური ნაშრომი, სადაც ცალკე კრიტერიუმებია თეორიების ფლობა, ანალიზისა და დასკვნების გამართულობა, აკადემიური სტილი და წყაროების სათანადო დამოწმება.

სხვა სასწავლო კომპონენტებშიც გამოყენებულია მრავალფეროვანი შეფასების ფორმები. „მეცნიერების მენეჯმენტში“ დოქტორანტები ფასდებიან პრაქტიკული დავალებების, პროექტისა და სტატიის მომზადების, პრეზენტაციისა და წერითი/ზეპირი გამოცდის საშუალებით, რაც კურსის პრაქტიკულ და კვლევით შედეგებთან არის დაკავშირებული. „სწავლა/სწავლების მეთოდები და სტრატეგიები“ ითვალისწინებს დისკუსიებში მონაწილეობას, პროექტსა და პრეზენტაციას, ანალიტიკურ წერით ნაშრომსა და სპეციალობის მიხედვით სწავლების დეტალური გეგმის შექმნას, რისთვისაც

წარმოდგენილია შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები. ასევე, „საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების პრინციპებში“ შეფასების ფორმები მოიცავს სასემინარო აქტივობას, ტესტირებას, სილაბუსის პრეზენტაციასა და საგანმანათლებლო პროგრამის/კურიკულუმის მომზადებას, რაც იძლევა მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შეფასების შესაძლებლობას.

კვლევითი კომპონენტის შეფასების ნაწილში პროგრამა ითვალისწინებს დოქტორანტის პროგრესის ეტაპობრივ შეფასებას. დოქტორანტმა უნდა შეასრულოს და საჯაროდ წარმოადგინოს სადისერტაციო კვლევასთან დაკავშირებული ორი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი. თითოეულ პროექტზე დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე რეცენზენტი ამზადებს რეცენზიას, ხოლო პროექტის პრეზენტაცია ფასდება წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით განმავითარებელი შეფასების ფორმით. ორივე კვლევითი პროექტის დადებითი შეფასება სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობაა. პროგრამის სტრუქტურაში ასევე მითითებულია, რომ პროექტის საჯარო განხილვაში მონაწილეობენ პროგრამის ხელმძღვანელი, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი და შესაბამისი დარგის აკადემიური პერსონალი, ხოლო მიღებული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება დოქტორანტისთვის სავალდებულოა დასრულებული დისერტაციის წარდგენამდე. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს კვლევითი პროგრესის პერიოდულ განმავითარებელ შეფასებასა და უკუკავშირს.

დისერტაციის დაცვაზე დაშვების წინაპირობები ასევე მკაფიოდ არის განსაზღვრული. დოქტორანტს მოეთხოვება 40 ECTS კრედიტის სრულად ათვისება, ორი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესრულება და საჯარო დაცვა და სადისერტაციო კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი მინიმუმ სამი პუბლიკაცია. მათგან ორი უნდა გამოქვეყნდეს საერთაშორისო რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში ან შესაბამის საკონფერენციო მასალებში, ხოლო ამ ორიდან მინიმუმ ერთი უნდა იყოს ინდექსირებული Scopus-ის ან Web of Science-ის ბაზაში; ERIH PLUS დაშვებულია პროგრამაში განსაზღვრული შესაბამისი სფეროებისთვის.

პროგრამა ასევე ადგენს აკადემიური კეთილსინდისიერების მოთხოვნებს. დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს დამოუკიდებლად მომზადებული, აკადემიური წერის სტანდარტების დაცვით შესრულებული ნაშრომი. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით განსაზღვრული პასუხისმგებლობა. გარდა ამისა, დოქტორანტი ვალდებულია, სადისერტაციო ნაშრომი საჯარო დაცვაზე წარდგენამდე ატვირთოს პლაგიატის აღმომჩენ პროგრამაში. მსგავსი მოთხოვნები ასახულია წარმოდგენილ სასწავლო კურსების სილაბუსებშიც.

